14/07/2025

MES 8 25 0000862325

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 01.07.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ლევან შავაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ქეთევან აფთარაშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. ვაჟა კელიხაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - **საბჭოს მდივანი;**
4. ნარგულ ასანიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. ნათია იორდანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
11. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
12. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
13. მზია წიკლაური - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
14. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
15. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
16. ბონდო გასვიანი - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
17. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ედვინი სირბილაძე -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
3. **გიორგი ირემაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. **თალიკო ჟვანია** - პროფესორი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი;
3. **თინათინ კაიშაური** - პროფესორი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. **ია ირემაძე** - ასოცირებული პროფესორი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
5. **თამარ ლომინაძე** - პროფესორი, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება" ხელმძღვანელი;
6. **მარიამ ჩხაიძე** - პროფესორი, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება" ხელმძღვანელი;
7. **ნონა ოთხოზორია** - პროფესორი;
8. **მზია კიკნაძე** - პროფესორი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

1. **დიანა მჭედლიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
2. **შოთა ნიჟარაძე** - კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი;
3. **მაქსიმ იავიჩი** - პროგრამის ხელმძღვანელი;
4. **რატი სხირტლაძე** - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. **ნინო ფარესაშვილი** - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
2. **მერაბ ხოხობაია** - ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
3. **გიორგი ღაღანიძე** - ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **მანანა ლობჟანიძე** - ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესროი;
5. **მარინა ჩავლეიშვილი** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ია ნაცვლიშვილი** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ქეთევან ჩიტალაძე** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ასისტენტ-პროფესორი;
8. **აკაკი მიქაბერიძე** - მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში;
9. **ნინო ქიმერიძე,** თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
10. **შოთა ფოთოლაშვილი** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

1. **ხათუნა თოდაძე** - პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. **ნანა დუღაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
3. **თამარ ჩიკვილაძე** - ასოცირებული პროფესორი, ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი;
4. **თეა ზარქუა -** ასოცირებილი პროფესორი, ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

1. **ნინო ენუქიძე** - რექტორი;
2. **თამარ გვიანიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **გიორგი ჭუმბურიძე** - პროგრამის ხელმძღვანელი;
4. **ელენე მამუკელაშვილი** - ფაკულტეტის დეკანი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

სეიფედინ კადრი (Seifedine Kadry) (I, II საკითხები);
ქრისტინე ჩიხლაძე (I საკითხი);
ნანი არაბული (II საკითხი);
ნინო ქიმერიძე (II საკითხი);
ზურაბი აზნაურაშვილი (III საკითხი);
ეკატერინა ზაქარაძე (III საკითხი);

თამთა ლეკიშვილი (III საკითხი);
გიორგი მხეიძე (III საკითხი);
ამჯად მოჰ ისა ქანდილი (Amjad Moh'd Issa Qandil) (IV საკითხი);
ქეთი ცხადაძე (IV საკითხი);
ქეთევან ქავთარაძე (IV საკითხი);
ია ნაცვლიშვილი (IV საკითხი);
ნათია გეგელაშვილი (IV საკითხი);
სალომე საბიაშვილი (V საკითხი);
ნათია ბადრიშვილი (V საკითხი);
თინათინ გაბრიჩიძე (V საკითხი);
თამარ ხუციშვილი (V საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ**.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" და "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებისა და საკითხის დამატებით შესახებ. რომელიც ეხებოდა "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებრვლის №501355 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" და "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. „შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებრვლის №501355 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: პირობით აკრედიტებული;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ კადრიმ (Seifedine Kadry), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციების დიდ ნაწილს და მათზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი პეტრიაშვილმა, განმარტა, რომ დოკუმენტებში მკაფიოდ იყო ხაზგასმული, რომ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა იძლევა შესაძლებლობას გადახედონ ინდიკატორებსა და რუბრიკებს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. მისი თქმით, თითოეული შეფასების ინდიკატორი გამოიყენება როგორც სწავლის შეფასების შესაბამისი გაზომვადი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე შედეგების შეფასებას. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ არსებული სისტემა არ წარმოადგენს ფიქსირებულ მოდელს, რაც იძლევა რუბრიკების დეტალიზაციის შესაძლებლობას. არსებული შედეგების გათვალისწინებით, ეს დოკუმენტი წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ე.წ. „საბაზისო ჩარჩოს“, რომელიც განსაზღვრავს შესრულების ინდიკატორებს, შეფასების ინსტრუმენტებსა და რაოდენობრივ კრიტერიუმებს. იგი პირდაპირ კავშირშია დინამიურ, უწყვეტად გაუმჯობესებულ სასწავლო პროცესთან, სადაც შეფასების ჩარჩო პერიოდულად განიხილება შეფასების ჯგუფის მიერ და განახლდება არსებული მდგომარეობისა და პროგრამის მიზნების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კომპონენტებს.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ სილაბუსებში შეიტანეს თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიებისა და კვლევების ამსახველი ლიტერატურა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა საბაკალავრო საფეხურს ეხება, დაწესებულებამ თავი შეიკავა კვლევების ჭარბად გამოყენებისგან. მიუხედავად ამისა, საჭირო ლიტერატურა, რა თქმა უნდა, პროგრამაში ინტეგრირებულია.

რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას, მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით არსებობს სტანდარტული დოკუმენტი. ესეც დინამიური პროცესია და დაწესებულება მუდმივად მუშაობს ამ საკითხის მაქსიმალურად გაუმჯობესებაზე.

დასასრულს, ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი. საუნივერსიტეტო ხარისხის სამსახურთან ერთად, ამ პროცესში ჩართულია საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ასევე, რექტორის სპეციალური განკარგულებით, ყველა ფაკულტეტზე შექმნილია მუდმივმოქმედი საფაკულტეტო კომისიები, რომელთა ჩართულობით ხორციელდება შიდა ხარისხის მექანიზმების კონტროლი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას 1.5 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აინტერესებდა, თუ რა სახის სამეცნიერო კვლევები იგულისხმებოდა მასში.

საერთაშორისო ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ (Seifedine Kadry), განმარტა, რომ 1.5 რეკომენდაციაში არ იგულისხმებოდა ისეთი სამეცნიერო აქტივობის განხორციელება, რომელიც მაგისტრანტს სამაგისტრო დონეზე მოეთხოვებოდა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტები მიუთითებდა, რომ სილაბუსებს უნდა მოეცვა თანამედროვე კვლევითი ან ტექნოლოგიური მიღწევები. განსაკუთრებით ამ მიმართულებით ჰქონდათ ექსპერტებს ყურადღება

გამახვილებული, თუმცა შესაძლებელი იყო რეკომენდაციაში მითითებულიყო ჟურნალებისა და სამეცნიერო გამოცემების ბმულები, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ გაცნობოდნენ თანამედროვე მიღწევებს შესაბამის სფეროში. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები ასახავდა იმას, თუ რა უნდა სცოდნოდა სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, შეფასების მეთოდები უნდა განსაზღვრულიყო სწავლის შედეგების მიხედვით.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, 5.1 კომპონენტთან მიმართებით კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ეს რეკომენდაცია რჩევის სახის, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრსა და აკადემიურ პერსონალს შორის უკვე არსებობდა გარკვეული ურთიერთობა, თუმცა სასურველი იყო მისი განვითარება.
ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ, განმარტა, რომ უნივერსიტეტს, რა თქმა უნდა, გააჩნდა ხარისხის უზრუნველყოფის გამოცდილება, რეგულაციები და სხვა მექანიზმები, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია მიმართული იყო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან, კერძოდ, რამდენად ხდებოდა ამ მექანიზმის დაგეგმვა აკადემიური პერსონალის სრული ჩართულობით. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო თითოეული იმ აკადემიური პერსონალის ჩართულობა, რომლის კურსებიც უკავშირდებოდა სწავლის შედეგების მიღწევადობას. ასევე, ისეთი პერსონალის ჩართულობაც, რომელიც თავად მონაწილეობდა სწავლის მექანიზმის შემუშავებაში. მისი თქმით, გამოკითხვების შეფასებები პროგრამულად არ იყო უზრუნველყოფილი. ინდივიდუალური რეკომენდაციები პერსონალს პროგრამულად არ მიეწოდებოდა.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ ერთ - ერთ რეკომენდაციაში ექსპერტები ითხოვდნენ ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესებას გარკვეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რომელი კურსები იგულისხმებოდა და რამ განაპირობა ამ რეკომენდაციის გაცემა.
საერთაშორისო ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ (Seifedine Kadry) განმარტა, რომ ეს იყო ზოგადი რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო გეგმაში იყო ერთი კურსი, სასურველი იყო მეტი კურსის არსებობა. მისი თქმით, ეს რეკომენდაცია სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაჩნდა. სტუდენტებმა გამოხატეს სურვილი, რომ მეტი ინგლისური ენის კურსი ჰქონოდათ.
ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი იყო ინგლისური ენის ოთხი სასწავლო კურსი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, „ინგლისური ენა 4“ გადიოდა დამამთავრებელ საფეხურზე - B2 დონეზე, რაც საკმარისად ითვლებოდა სამაგისტრო საფეხურზე გადასასვლელად.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ, კითხვით მიმართა დაწესებულებას 2.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, აისახებოდა თუ არა საბაკალავრო პროექტში ხელმძღვანელის ჩართულობა პროფესორის სავალდებულო დატვირთვაში.
ივანე ჯაგოდნიშვილმა განმარტა, რომ თანაფარდობა დგინდებოდა სტუდენტური კონტინგენტის გათვალისწინებით. პროფესორის ვალდებულებაში, რა თქმა უნდა, შედიოდა სტუდენტის ხელმძღვანელობა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებაში არსებობდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 15:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 01 ივლისამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 ივლისიდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მეორე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" და "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კიბერუსაფრთხოება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: ახალი;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: ახალი;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ კადრიმ (Seifedine Kadry), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, დიანა მჭედლიშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო ორი ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მათგან "კიბერუსაფრთხოების" პროგრამა წარდგენილი იყო რეაკრედიტაციისთვის და ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა ამ მიმართულებით მუშაობის სამწლიანი წარმატებული გამოცდილება. რაც შეეხება მეორე პროგრამას, დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა თანამედროვე მოთხოვნები, რაც ხელოვნურ ინტელექტს უკავშირდებოდა. მისი თქმით, პირველ რეკომენდაციაში საუბარი იყო იმაზე, რომ პროგრამას ჰქონდა ოთხი მიზანი, და რეკომენდაციით მოითხოვებოდა, რომ მათგან ერთი მიზანი დაკონკრეტებულიყო დარგის სპეციფიკის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ერთი მიზნის გამოყოფა აბიტურიენტისთვის შესაძლოა დამაბნეველი ყოფილიყო, რადგან შეიძლებოდა ეფიქრა, რომ მაგისტრატურაზე სწავლა მხოლოდ ამ მიმართულებით იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ეს მცდარ წარმოდგენას შეუქმნიდა მას. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, აღნიშნა, რომ დარგობრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა სწავლის მიზნებსა და შინაარსს, ძალაში ახალი შესული იყო. დარგობრივი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიღებული ჰქონდა როგორც ტექნოლოგიური სკოლის დეკანს, ისე კიბერუსაფრთხოების სკოლის ხელმძღვანელს. შესაბამისად, ისინი ჩართულნი იყვნენ დარგობრივი დოკუმენტის შექმნის პროცესში. პროგრამის შედეგებიც შემუშავებული იყო აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად. დანარჩენი პროგრამის შედეგები სრულად შეესაბამებოდა როგორც საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. 1.5 რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულებას დეტალურად უნდა განეხილა საბაკალავრო კურსის სილაბუსი და მისი შინაარსი მთლიანად აგებული ყოფილიყო იმაზე, რომ სტუდენტი ინდივიდუალურად ასრულებდა და იცავდა საბაკალავრო ნაშრომს. შეფასების ნაწილშიც ყველგან სტუდენტი მოხსენიებული იყო მხოლობით რიცხვში. შესაბამისად, ეს ტექნიკური ხარვეზი იყო. გარდა ამისა, წარდგენილი იყო საბაკალავრო ნაშრომის შესრულების

დებულება, რომლის პირველივე მუხლის 1.2 პუნქტში ცალსახად ეწერა, რომ ნაშრომი დამოუკიდებლად იქმნებოდა მხოლოდ ერთი სტუდენტის მიერ. 2.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დიანა მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტებისთვის მიღების წინაპირობად დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა B2 დონე, თუმცა ქართველი სტუდენტებისთვის დაწესებულებას არ შეეძლო ინგლისური ენის დონის დაწესება, რადგან ეროვნულ გამოცდებზე მოწმდებოდა B1 დონე. 5.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტში პროცესები ისე იყო აწყობილი, რომ "Workshop"-ების გარეშე მათი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან დაწესებულებას ყველა ასპექტში გააჩნდა ელექტრონული პლატფორმები. ასევე, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ჩაშენებული იყო ელექტრონულ პლატფორმაში, სადაც წარმოდგენილი იყო შედეგები, შეფასების ინსტრუმენტები და ლექტორს აუცილებლად უნდა სცოდნოდა სწავლის შედეგებზე დაკვირვება. სწავლის შედეგების ფორმულირებისას, გაზომვადი ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა, რომ დაწესებულებას პროგრამებსა და სილაბუსებში ამ მიმართულებით დეტალურად ჰქონდა ნამუშევარი, რათა შედეგები ჩამოყალიბებულიყო გაზომვადი ფორმით და პრაქტიკაში მათი მიღწევის შეფასება გამარტივებულიყო.
შპს კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ, აღნიშნა, რომ 12 შედეგიდან 4-ში არ იყო მკაფიოდ ხაზგასმული, რომ საუბარი კიბერუსაფრთხოებას ეხებოდა. 8 შედეგი უშუალოდ განსაზღვრავდა კიბერუსაფრთხოებას, ხოლო დანარჩენი 4 ზოგად უნარებსა და პასუხისმგებლობას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, რატი სხირტლაძემ, აღნიშნა, რომ შენიშვნები ძირითადად ფორმულირებების ნაწილს ეხებოდა, რაც დაწესებულებისთვის მისაღები და გასათვალისწინებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს სწავლის მიზნებსა და შედეგების საკითხებთან დაკავშირებით. მისი აზრით, ეს საკითხები უფრო რჩევის ხასიათს ატარებდა, ვიდრე რეკომენდაციისას, რადგან ეხებოდა მხოლოდ სიტყვების ცვლილებებს. შესაბამისად, მას აინტერესებდა, რატომ იყო ეს საკითხი რეკომენდაციების სახით გაცემული.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის მიზნები განსაზღვრავდა იმას, თუ რა უნდა სცოდნოდა კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ და ისინი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო აკრედიტაციის სტანდარტებთან. დარგის მიზნები უნდა ეფუძნებოდეს დარგის სპეციფიკას. აქ არ იყო საუბარი მხოლოდ სიტყვების ცვლილებაზე, რადგან ერთი სიტყვის შეცვლასაც კი შეეძლო მთლიანად კურსის შედეგების შეცვლა. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, მან აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი იყო მათი შესაბამისობა დარგობრივ მახასიათებელთან, თუმცა აკრედიტაციის სტანდარტშიც იყო მითითებული, რომ სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს და ასახავდეს როგორც დარგის, ისე კონკრეტული პროგრამის თავისებურებებს.
შპს კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ, განმარტა, რომ სტანდარტი ითხოვდა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებას და პროგრამა ამას ითვალისწინებდა კიდეც. რეკომენდაციაში საუბარი იყო იმაზე, რომ 12 შედეგიდან მხოლოდ 4 ეხებოდა უშუალოდ დარგს, ხოლო დანარჩენი ზოგად უნარებსა და პასუხისმგებლობას. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას უნივერსიტეტი დაეყრდნო დარგობრივ მახასიათებელს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:52
დასრულების დრო: 16:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციიის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 01 ივლისამდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 ივლისიდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციიის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 01 ივლისამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 ივლისიდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
კრედიტების რაოდენობა: 180;
სტატუსი: ახალი;
დეტალური სფეროს კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს თამარ ზარანდიამ და ბონდო გასვიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, სტეფან ჰანდკე (Stefan Handke), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. მისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წერილის სახით თარჯიმანმა, ანა ლელაძემ გააცნო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შოთა ფოთოლაშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციების ნაწილს. მისი თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა გარკვეული შენიშვნები რამდენიმე რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით.
ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობა ბიზნეს-მენეჯმენტისა და მმართველობის ქუდქვეშ მოიაზრებოდა და გარკვეულწილად ეს პროგრამა 0413-ის კატეგორიაში შედიოდა. შესაბამისად, შეუძლებელი იყო საერთო

რეგულაციის დარღვევა. ასევე, მას სურდა ექსპერტების მხრიდან დაკონკრეტებულიყო რეკომენდაცია, რომელიც მათემატიკის სწავლებას ეხებოდა. რეკომენდაციაში ერთგან ეწერა, რომ საგანი საერთოდ ამოღებულიყო, ხოლო მეორეგან გამარტივებულიყო. დაწესებულება არცერთ ვარიანტს არ ეწინააღმდეგებოდა, თუმცა სურდა, განესაზღვრათ, რომელი მითითება შეესრულებინა დაწესებულებას.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა ჩავლეიშვილმა, ხაზი გაუსვა, რომ პროგრამაზე მუშაობა თითქმის სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მან მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა ახალი იყო და მისი შეფასება არ განხორციელებულა, თუმცა უნივერსიტეტში არსებობდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ახალი პროგრამა წინასწარი გათვლების საფუძველზე გადიოდა შეფასებას. წარმოდგენილ შეფასების სისტემაში ნაჩვენები იყო, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო შეფასება მომავალში. ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის პერსონალის 90% აკადემიური პერსონალი იყო. უნივერსიტეტში არსებული მინიმალური სტანდარტის თანახმად, აუცილებელი იყო, რომ აკადემიურ პირს ჰქონოდა მინიმუმ ერთი სამეცნიერო აქტივობა. იმ ანაზღაურების 50%, რომელსაც დასაქმებული იღებდა, სამეცნიერო ნაწილს ეხებოდა, ხოლო დანარჩენი სასწავლო დატვირთვას. შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს ფაკულტეტი ახორციელებდა შეფასებას სამეცნიერო აქტივობების შესაბამისად. ასევე, დაწესებულება ითვალისწინებდა მემორანდუმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, რომელთა განახლება უკვე მიმდინარეობდა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნები დაწესებულების შეხედულებით სრულად პასუხობდა საჯარო მმართველობის სფეროს მიზნებს, თუმცა შესაძლებელი იყო მიზნის 1.1-ის უფრო მკაფიოდ ფოკუსირება საჯარო მმართველობაზე. მეორე რეკომენდაციაში ექსპერტების მიერ მითითებული იყო, რომ პროგრამის შედეგები არ უნდა დამთხვეოდა სხვა პროგრამის შედეგებს. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმებოდა, რადგან საჯარო მმართველობაში წარმოდგენილი დარგობრივი მახასიათებლის ცვლილება სრულად ასახავდა მის შინაარსს. მეოთხე რეკომენდაციას დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმებოდა. სტაჟირების კომპონენტი პროგრამაში არ არსებობდა, თუმცა იყო პროფესიული პრაქტიკა, რომელსაც სტუდენტები სამომავლოდ გაივლიდნენ იმ ობიექტებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული ექნებოდა მემორანდუმები.
ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასურველი იყო ექსპერტების მხრიდან მეტი კონკრეტიზაცია. ასევე, საჯარო პოლიტიკის კურსის პროგრამაში შეტანის რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით პროგრამაში ორი საგანი „საჯარო პოლიტიკის საფუძვლები“ და „საჯარო უსაფრთხოება და ევროინტეგრაცია“ ჰქონდა დამატებული. თუმცა, მსჯელობის შედეგად შესაძლებელი იყო ამ ორი კურსის ანალიზი, მათი გაძლიერება ან სრულიად ახალი კურსის დამატება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას აინტერესებდა, ექსპერტება რატომ ვერ დაინახეს პროგრამის მიზნებში შესაბამისობა საჯარო მმართველობის სფეროსთან და რატომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.
ექსპერტმა, თამთა ლეკიშვილმა, განმარტა, რომ პროგრამის მიზნებში ჭარბობდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება და საჯარო მმართველობა დომინანტად არ იყო წარმოჩენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 ივლისიდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფარმაციის მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის მენჯემენტის მაგისტრი;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: აკრედიტებული;
დეტალური სფეროს კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან ცხადაძემ და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ამჯად მოჰ ისა ქანდილიმ (Amjad Moh'd Issa Qandil) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული მიგნებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან წარმოდგენილი რჩევები და რეკომენდაციები წარმოადგენდა პროგრამის გაუმჯობესების კიდევ ერთ მექანიზმს, თუმცა დაწესებულება არ ეთანხმებოდა რეკომენდაციების დიდ ნაწილს, რაც ასახული იყო არგუმენტირებულ პოზიციაშიც.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა დუღაშვილმა, პირველ სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მიიჩნევდა, რომ მოცემული ფორმულირება უფრო ახლოს იყო ქართულ ლინგვისტურ სპეციფიკასთან, თუმცა არ გამორიცხავდა მის კორექტირებას. შედეგების ფორმულირების კუთხით დაწესებულება მიიჩნევდა, რომ ეს რეკომენდაცია გამომდინარეობდა პირველი რეკომენდაციიდან. 1.3 კომპონენტშიც გაცემული იყო ორი რეკომენდაცია. ერთ-ერთი ეხებოდა თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკას, რომელთა დაკავშირებითაც აღინიშნა, რომ თითოეული კურსის ხელმძღვანელს სიღრმისეულად ჰქონდა გაცნობიერებული პროგრამის შედეგზე გასვლის შესაბამისობა. აღნიშნული პროცესი მუდმივად ექვემდებარებოდა ცვლილებებს და ამ მიმართულებით პროგრამა მუდმივად ახორციელებდა კორექტირებას. რაც შეეხება შედეგების შეფასების მექანიზმს, პროგრამა იყენებდა პირდაპირი შეფასების მეთოდებს. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდებოდა მე-8, მე-12 და მე-16 დანართებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. 1.4 კომპონენტთან მიმართებით აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობდა როგორც საქართველოში ამ დარგის სპეციალისტების გამოცდილებით, ასევე სხვა ქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკით. ამის დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტაციაც წარმოდგენილი იყო. მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტთან მიმართებით აღინიშნა, რომ აქტიური სტუდენტების რაოდენობა არ აღემატებოდა 15-ს. უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით, 10 სტუდენტზე მეტის შემთხვევაში იქმნებოდა ორი ჯგუფი. პრაქტიკის დაწყებამდე მზადდებოდა ოფიციალური მიმართვა, სადაც ფიქსირდებოდა სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. დაწესებულება მიიჩნევდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ამ პროცესის კორექტირება. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებდა პერსონალის ყოველწლიური გადამზადების ცენტრი, სადაც რეგულარულად ტარდებოდა როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში. აღნიშნული პროცესი უკვე განხორციელებული იყო ორ ეტაპად. სახელმძღვანელოების განახლებასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს იყო მუდმივად განახლებადი პროცესი. ყველა ძირითად სასწავლო კურსთან მითითებული იყო ე.წ. "ჰენდაუთები", რომლებიც მაგისტრანტებს ეხმარებოდა სასწავლო პროცესში. რაც შეეხება წინა წლების სახელმძღვანელოებს, მათი გადახედვა და ჩანაცვლება იგეგმებოდა ახლით.
ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ მეხუთე სტანდარტში მოცემული იყო სამი რეკომენდაცია. პირველი ეხებოდა ინფორმაციის მენეჯმენტის პროგრამის ყოვლისმომცველი თვითშეფასების

სისტემის შექმნას, რასაც დაწესებულება არ იზიარებდა, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა ყველა დაინტერესებულ პირთან იმ მექანიზმებით, რაც გააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი მუდმივად განვითარებადი იყო, მტკიცება, თითქოს პროგრამის ყოვლისმომცველი შეფასება არ განხორციელებულიყო, არ შეესაბამებოდა რეალობას. ასევე, მუდმივად ხორციელდებოდა დასრულების, დასაქმებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზი. მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხარისხის განვითარების სამსახური აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ საკითხებში. სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მისი შემოწმება ხდებოდა ხარისხის სამსახურის მიერ. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი მონაწილეობდა კომისიაში, რომელიც ერთჯერადად იქმნებოდა ყოველი დაცვის წინ. ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა და მისი კურიკულუმი აღიქმებოდა, როგორც ერთიანი სტრუქტურა და უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი იყო ყველა სასწავლო კურსის შედეგის მიღწევის შეფასება, მათ შორის, მესამე დონის კურსებისა. მესამე დონის კურსების გავლა აისახებოდა სამაგისტრო ნაშრომშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა, მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას აინტერესებდა, რატომ გაიცა ეს რეკომენდაცია, რადგან ფაქტობრივი მდგომარეობით სილაბუსებში რეგულარულად ლიტერატურის გადახედვისა და განახლების საჭირობა არ იყო.

ექსპერტმა, ქეთი ცხადაძემ, განმარტა, რომ იმ სილაბუსებში, რომლებიც დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა, ნამდვილად იდგა ლიტრატურის განახლებისა და გადახედვის საჭიროება. ასევე ძირითად ლიტერატურად მითითებული იყო ე.წ. "ჰენდაუთები".

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რა გახდა ამ რეკომენდაციის გაცემის მიზეზი.

ექსპერტმა, ქეთევან ქავთარაძემ განმარტა, რომ ეს ნამდვილად არ ყოფილა ტექნიკური ხარვეზი. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის მხრიდან შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილი არ იყო. გარდა ამისა, რეკომენდაცია გაცემული იყო ლექტორებთან ინტერვიუების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ მოცემული იყო ინფორმაცია პროფესიული განვითარების მიმართულებით ღონისძიებების ჩატარების საჭიროებაზე, თუმცა მსგავსი შინაარსის რჩევა უკვე გაცემული იყო მეოთხე რჩევაში. მას აინტერესებდა, რამ განაპირობა ეს და ჰქონდა თუ არა ადგილი ტექნიკურ უზუსტობას.

ექსპერტმა, ქეთევან ქავთარაძემ განმარტა, რომ რეკომენდაცია ვიზიტზე არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე იყო გაცემული. აქტივობები მიმდინარეობდა, თუმცა საჭირო იყო მათი გაუმჯობესება.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რას უნდა დაყრდნობოდა დაწესებულება სწავლის შედეგების ფორმულირებისას და რომელი ზმნები უნდა გამოეყენებინა.

ექსპერტმა, ქეთევან ცხადაძემ განმარტა, რომ არსებობდა შესაბამისი სახელმძღვანელოები, რომლებსაც დაწესებულება შეიძლებოდა დაყრდნობოდა.

საერთაშორისო ექსპერტმა, ამჯად მოჰ ისა ქანდილიმ (Amjad Moh'd Issa Qandil), აღნიშნა, რომ გაზომვადი ზმნების რეკომენდაციასთან დაკავშირებით შესაძლოა ადგილი ჰქონოდა თარგმანის უზუსტობას. მან ხაზი გაუსვა, რომ სწავლის შედეგები სათანადოდ არ იყო ჩამოყალიბებული. ამის დეტალური განხილვა წარმოდგენილი იყო დასკვნის მე-11 გვერდზე. იგივე ეხებოდა პროგრამის მიზნებსაც, სადაც ასევე საჭირო იყო გაზომვადი ზმნების გამოყენება, როგორიც იყო „გააკეთოს“ ან „აკეთებს“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:01
დასრულების დრო: 18:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 ივლისიდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დატოვეს საბჭოს წევრებმა: თეა მჭედლურმა, ქეთევან აფთარაშვილმა და მაქსიმ იავიჩმა.

მეხუთე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: ახალი;
დეტალური სფეროს კოდი: 0313 ფსიქოლოგია.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზამირა ჰისენი-დურაკუ (Zamira Hyseni-Duraku), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. მისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წერილის სახით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი ირემაშვილმა გააცნო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების რექტორმა, ნინო ენუქიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა ყველა რეკომენდაციას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ გვიანიშვილმა, აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პასუხების საფუძველზე ექსპერტთა გუნდმა რეკომენდაციების რაოდენობა შეამცირა. საბოლოო დასკვნაში დარჩა მხოლოდ 4 რეკომენდაცია, რაც ნამდვილად ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას. ბთუ მზად არის შეასრულოს აღნიშნული რეკომენდაციები და გააძლიეროს პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რითი განსხვავდებოდა აღნიშნული პროგრამა "ფსიქოლოგიის" ტრადიციული საგანმანათლებლო პროგრამისაგან.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჭუმბურიძემ, განმარტა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლიდა როგორც ფსიქოლოგიის ტექნოლოგიებში, ისე ფსიქოლოგიური პრინციპების ინტეგრირებას თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:03
დასრულების დრო: 19:28

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2028 წლის 31 დეკემბრამდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 ივლისიდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მეექვსე საკითხი: „შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებრვლის №501355 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა მზია წიკლაურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის № 501355 გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, გადაწყვეტილების დანართში "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ველში არ იყო მითითებული ბათუმის მისამართი (თამარ მეფის ქუჩა №60, ბათუმი, საქართველო), თუმცა დაწესებულების თვითშეფასებაში ასახული ინფორმაციის შესაბამისად, ვიზიტი ასევე განხორციელდა ბათუმის მისამართზეც. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ პროგრამის განხორციელების ადგილში დაემატოს ბათუმის მისამართიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
„შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №501355 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №501355 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების დანართ №1-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის შესაბამის ველში მიეთითოს:
"1. ირინა ენუქიძის 3, თბილისი 0159, თბილისი, საქართველო,
2. "თამარ მეფის ქუჩა №60, ბათუმი, საქართველო".

ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 01 ივლისის 19:30 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე